სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/61

ქ. თბილისი 17 აპრილი 2025 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით
და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2025 წლის 03 აპრილის საბჭოს სხდომის №6 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-02/212 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა**

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას „აგრარული ტექნოლოგიები“ შეეცვალოს დასახელება და გახდეს „აგრონომია“;
2. პროგრამას შეეცვალოს ხელმძღვანელი და დამტკიცდეს თამარ კაჭარავა;
3. მოდიფიცირებულის სახით დამტკიცდეს წარმოდგენილი პროგრამა;
4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**